

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის
ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	8
5. სხვა საოპერაციო შემოსავალი	8
6. შესყიდული მომსახურება	9
7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	9
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
9. საპროცენტო შემოსავალი	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. შეზღუდული ფული	10
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები	10
13. გაცემული სესხები	10
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
16. სავაჭრო ვალდებულებები	11
17. მიღებული ავანსები	12
18. ანარიცხი	12
19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები	12
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4	4,328,191	8,764,920
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5	788,520	52,239
		5,116,711	8,817,159
საოპერაციო ხარჯი			
შესყიდული მომსახურებები	6	(3,760,818)	(7,461,043)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურება		(1,415,167)	(1,623,201)
საგადასახადო და საგარანტიო ანარიცხები	18	(388,907)	-
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	7	(118,349)	(314,462)
საიჯარო ხარჯი		(67,617)	(60,518)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(353,211)	(495,365)
საოპერაციო ზარალი		(987,358)	(1,137,430)
საპროცენტო შემოსავალი	9	93,428	79,695
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი		75,428	(48,376)
მთლიანი სრული ზარალი		(818,502)	(1,106,111)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2020 წლის 2 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



კრისტიან ნუნური

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	114,373	124,961	186,535
შეზღუდული ფული	11	17,377	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	53,346	-	-
		185,096	124,961	186,535
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		2,015	1,988	5,863
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12	120,332	-	485,781
გაცემული სესხები	13	-	439,319	111,487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	3,748,204	1,646,874	1,505,126
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	2,509,350	3,939,757	2,562,644
		6,379,901	6,027,938	4,670,901
სულ აქტივები		6,564,997	6,152,899	4,857,436
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,936,203	2,754,705	3,860,816
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	16	26,590	-	-
ანარიცხი	18	26,530	-	-
		53,120	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	16	4,087,926	1,595,197	822,309
მიღებული ავანსები	17	-	1,471,469	174,311
ანარიცხი	18	487,748	-	-
საგადასახადო ვალდებულება	12	-	331,528	-
		4,575,674	3,398,194	996,620
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,564,997	6,152,899	4,857,436

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	3,860,816
მთლიანი სრული ზარალი	(1,106,111)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,754,705
მთლიანი სრული ზარალი	(818,502)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,936,203

7-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(818,502)	(1,106,111)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	39,654	30,563
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული ზარალი		5,142	6,014
საპროცენტო შემოსავალი	9	(93,428)	(79,695)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი (მოგება)		(75,428)	48,376
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		(942,562)	(1,100,853)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(2,065,848)	(178,764)
წინასწარ გადახდილ გადასახადების შემცირება (ზრდა)		(120,332)	485,781
მარაგების შემცირება (ზრდა)		(27)	3,874
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		2,453,398	796,865
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(331,528)	331,528
ანარიცხის ზრდა (შემცირება)		514,278	-
მიღებული ავანსების ზრდა (შემცირება)		(1,471,469)	1,297,158
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		(1,964,090)	1,635,589
მიღებული პროცენტები		132,746	42,969
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		(1,831,344)	1,678,558
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(40,123)	(24,677)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		5,915	49,674
გაცემული სესხები		-	(299,968)
გაცემული სესხიდან მიღებული თანხები		400,000	8,862
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		365,792	(266,109)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (შემცირება)		(1,465,552)	1,412,449
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	15	3,939,757	2,562,644
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		52,522	(35,336)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	15	2,526,727	3,939,757

7-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში (შემდეგში - კომპანია), დაარსდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თამარ მეფის გამზირი #15, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყლისა და გარემოს სფეროში პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო და საპროექტო მომსახურების გაწევა.

კომპანიის დირექტორი 2018-2019 წლებში იყო სტეფან პატრიკ მორანი. 2020 წლის იანვრიდან არის კრისტიან ნუნერი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიისთვის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგებაა. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. 2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას. შესაბამისად, მსს ფასს-ზე გადასვლას არ გამოუწვევია კორექტირება საწყის ნაშთებში.

გადასვლის თარიღისთვის კომპანიას არ გამოუყენებია სტანდარტის 35-ე განყოფილებით გათვალისწინებული შეღავათები (გამონაკლისი ზოგიერთ მუხლზე).

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება საქართველოში.

როგორც 21-ე შენიშვნაშია განმარტებული, კორონა ვირუსმა შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე, რაც სავარაუდო ზარალს გამოიწვევს 2020-ში.

ვინაიდან კომპანია გეგმის შესაბამისად ვითარდება, და მთავრობასთანაც რამდენიმე წლიანი პროექტი აქვს, მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და კომპანია აპირებს გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარიში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ანარიცხები. კომპანია აღიარებს საგარანტიო ანარიცხს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს მასთან დაკავშირებულ ამონაგებს. კომპანია საგარანტიო ანარიცხს აღიარებს წარსული გამოცდილების და იმ საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც აუცილებელი იქნება, რომ შესრულდეს სამომავლო და მიმდინარე ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება მოხმარებლების საგარანტიო მოთხოვნების შედეგად ფინანსური ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის. კომპანია ასევე აღიარებს ანარიცხს დარიცხული ანაზღაურების სახით დირექტორის ბონუსზე, რომელიც გამოითვლება ILF Group Holding-ის შედეგების და სხვა ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ანარიცხის თანხის შეფასება ხდება მშობელ კომპანიასთან კომუნიკაციის შედეგად. შეფასების პროცესში თანდაყოლილი განუსაზღვრელობების გამო, ფაქტობრივი ხარჯები შესაძლოა განსხვავებული იყოს თავდაპირველი სავარაუდო შეფასებისგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული რეზერვის დარიცხვის ხარჯები, რომლებიც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდა ცალკე სააღრიცხვო ანგარიშზე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც დადსტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

	2019	2018
სატრანსპორტო სექტორი	2,939,232	5,129,833
ენერგო სექტორი	979,856	3,543,159
საკომისიო	409,103	-
სამშენებლო სექტორი	-	90,000
სხვა	-	1,928
	4,328,191	8,764,920

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2019 წლისთვის სხვა საოპერაციო შემოსავალი ძირითადად შედგება შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯიასთვის გაწეული მმართველობითი მომსახურებისგან. 2018 წელს სხვა საოპერაციო შემოსავლები ძირითადად შედგება ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისგან.

6. შესყიდული მომსახურება

	2019	2018
დაკავშირებული მხარე	(2,856,483)	(5,245,630)
სხვა	(904,335)	(2,215,413)
	(3,760,818)	(7,461,043)

7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებულია ILF Group Holding Austria GmbH-სა და აიელეფის სხვა კომპანიებისგან გაწეული მომსახურებისგან, როგორიცაა მარკეტინგი და კომუნიკაცია, დავებისა და რისკების მართვა, კომერციული კორდინაცია, ტექნიკური ექსპერტიზა, ადამიანური რესურსები და სხვა.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(104,566)	(97,369)
მივლინება	(74,499)	(192,659)
ცვეთა და ამორტიზაცია	(39,654)	(30,563)
დაზღვევა	(45,860)	(19,302)
გაყიდული სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერა	(14,928)	(55,688)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(5,399)	-
საწვავი	(3,753)	(2,541)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	(48,047)
სხვა	(64,552)	(49,196)
	(353,211)	(495,365)

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი მიღებული:

	2019	2018
დეპოზიტებიდან	59,476	42,969
გაცემული სესხიდან	33,952	36,726
	93,428	79,695

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა - დანადგარები	ავტომო- ბილები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	85,883	139,679	58,078	8,637	292,277
შემოსვლა	6,850	-	17,358	469	24,677
გასვლა	-	-	(75,436)	-	(75,436)
2018 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	-	9,106	241,518
შემოსვლა	-	-	40,123	-	40,123
გასვლა	-	-	(13,381)	-	(13,381)
2019 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	26,742	9,106	268,260
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 1 იანვარი	(30,814)	(50,323)	(19,748)	(4,857)	(105,742)
ცვეთა	(11,960)	(17,871)	-	(732)	(30,563)
გასვლა	-	-	19,748	-	19,748
2018 წლის 31 დეკემბერი	(42,774)	(68,194)	-	(5,589)	(116,557)
ცვეთა	(13,248)	(19,954)	(5,218)	(1,234)	(39,654)
გასვლა	-	-	2,324	-	2,324
2019 წლის 31 დეკემბერი	(56,022)	(88,148)	(2,894)	(6,823)	(153,887)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	55,069	89,356	38,330	3,780	186,535
2018 წლის 31 დეკემბერი	49,959	71,485	-	3,517	124,961
2019 წლის 31 დეკემბერი	36,711	51,531	23,848	2,283	114,373

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიკაცია „სხვა“ მოიცავს არამატერიალურ აქტივებს (სააღრიცხვო პროგრამა) წმინდა საბალანსო ღირებულებით 374 და 469 ლარი.

11. შეზღუდული ფული

გრძელვადიანი შეზღუდული ფული წარმოადგენს 2023 წლის 31 ივლისამდე კლიენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბანკო ანგარიშზე დაბლოკილ თანხებს.

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივი ან ვალდებულება.

13. გაცემული სესხები

	ვალუტა	%	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
შპს აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯია #1	ლარი	11%	-	113,592	102,592
შპს აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯია #2	ლარი	11.3%	-	325,727	-
სხვა		20.0%	-	-	8,895
			-	439,319	111,487

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:			
დაკავშირებული მხარისგან	53,346	-	-
მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:			
დაკავშირებული მხარისგან	1,760,845	643,815	211,478
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	2,053,399	1,035,308	1,279,309
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(76,313)	(76,313)	(28,266)
	3,737,931	1,602,810	1,462,521
არა-ფინანსური აქტივები			
წინასწარ გადახდილი სადაზღვევო ხარჯი	3,892	4,956	3,108
ქვეკონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები	6,381	39,108	39,497
	10,273	44,064	42,605
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,801,550	1,646,874	1,505,126

ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი 1 იანვრისთვის	(76,313)	(28,266)
ანარიცხის ზრდა	-	(48,047)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(76,313)	(76,313)

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფული ბანკში	2,456,239	2,811,338	2,561,101
ფული სალაროში	3,315	4,273	1,543
შეზღუდული ფული*	49,796	1,124,146	-
	2,509,350	3,939,757	2,562,644

*შეზღუდული ფული წარმოადგენს სახელმწიფო კომპანიებიდან/სააგენტოებიდან მიღებული ავანსის გარანტიას საკონსულტაციო სერვისის გაწევისთვის, რომლის ვადა 2020 წლის 6 იანვარს იწურება.

16. სავაჭრო ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები:			
დაკავშირებულ მხარესთან	26,590	-	-
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	3,355,750	1,333,998	581,608
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	692,591	261,199	240,701
სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	39,585	-	-
	4,087,926	1,595,197	822,309

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარი)

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ძირითადად მოიცავს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიღებულ ავანსს (1,431,485 ლარი). 2018 წლის დეკემბერში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას ევალება საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროგრამაში სამუშაოების ზედამხედველობა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის განახლება. კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 2019 წელს.

მიღებული ავანსები 2018 წლის 1 იანვრისთვის ძირითადად შედგება 2017 წლის დეკემბერში სს ზოტი ჰიდროსგან მიღებული ავანსისგან (163,429 ლარი). ზოტი ჰიდროსთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ნახაზების მომზადებას, ელექტროსადგურის დეტალური დიზაინის მომზადებასთან დაკავშირებული კალკულაციებისა და ანალიზის ჩატარებას. კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 2018 და 2019 წელს.

18. ანარიცხი

	2019 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	
დარიცხული ანაზღაურება*	125,371
სხვა ანარიცხი**	362,377
	487,748
გრძელვადიანი	
გარანტია კლიენტების მიმართ	26,530
სულ	514,278

*დარიცხული ანაზღაურება წარმოადგენს დირექტორის ბონუსის სავარაუდო მოცულობას, რომელიც გამოითვლება ILF Group Holding-ის შედეგების და სხვა ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მუშაკთა ანაზღაურება.

**ხელმძღვანელობამ განიხილა საგადასახადო პოლიტიკა, რომელსაც ის 2017-2019 წლებში კომპანიის ოპერაციებისთვის იყენებდა და მიიჩნევს, რომ საგადასახადო ორგანოების მიდგომა შესაძლოა განსხვავებული იყოს აღნიშნული პოლიტიკისგან. ამრიგად, კომპანიამ გადააფასა რისკები და გადაწყვიტა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ელიარებიან ანარიცხი საგადასახადო ვალდებულებაზე.

ანარიცხები წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც საგადასახადო და საგარანტიო ანარიცხი.

19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი აქტივები

თუ საგადასახადო ორგანოების მიდგომა განსხვავებული იქნება გასულ წლებში კომპანიის მიერ გამოყენებული საგადასახადო პოლიტიკისაგან, მოსალოდნელია, რომ ყოფილმა დირექტორმა ანაზღაურებს შესაძლო საგადასახადო ვალდებულებას 362,377 ლარის ოდენობით, როგორც განმარტებულია მე-18 შენიშვნაში.

პირობითი ვალდებულებები

მენეჯმენტის შეფასებებში განხორციელებული ცვლილებების გამო, კომპანია შესაძლოა დაჯარიმდეს გადასახადის დაგვიანებით გადახდისთვის 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სპეციფიკური გამოთვლების ხასიათიდან გამომდინარე, მსგავსი ხასიათის ჯარიმის მოცულობის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019					
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Beratende Ingenieure (including AG)	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-	1,814,191
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	111,510	1,137,557	500,148	398,117	151	1,274,442
სრული შემოსავლის ანგარიშგება						
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	-	-	-	-	-	375,353
სხვა შემოსავალი (მმართველობითი მომსახურება)	-	-	-	-	-	771,095
შესყიდული მომსახურებები	-	(642,380)	-	-	-	(2,214,103)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	(639,524)	-	-
მმართველობით მომსახურებასთან	(98,923)	(15,897)	-	-	(3,529)	-
დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	-	-	-	(67,617)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-	33,952
	31 დეკემბერი 2018					
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Beratende Ingenieure (including AG)	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	362,923	-	-	-	280,892
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,587	699,128	-	38,446	83	583,754
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	439,319

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Beratende Ingenieure (including AG)	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	ILF Consulting Engineers LLC
სრული შემოსავლის ანგარიშგება						
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	-	-	-	-	-	1,042,599
სხვა შემოსავალი	-	-	-	-	-	48,299
შესყიდული მომსახურებები	(12,588)	(2,303,324)	-	-	-	(2,929,718)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მუშაკთა ანაზღაურება	-	-	-	(451,774)	-	-
მმართველობით მომსახურებასან	(286,334)	(27,075)	-	-	(1,053)	-
დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	(60,518)
საიჯარო ხარჯი	-	-	-	-	-	36,726
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-	-

1 იანვარი 2018

	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Beratende Ingenieure (including AG)	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	175,707	-	-	-	35,771
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,632	340,180	-	198,724	-	6,072
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	102,592

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	1,299,364	1,103,832

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონა ვირუსი) გამო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსი მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელების გამო პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავლენა ინდუსტრიების მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა იგი ყველა სექტორში არსებულ კომპანიებზე მოახდენს გავლენას შემდეგი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის საქმიანობაზე. შეზღუდვები ძალაში შევიდა 2020 წლის მარტიდან. ივნისის დასაწყისში ძირითადი შეზღუდვები მოიხსნა და კომპანიებმა განაგრძეს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირება სახელმწიფო რეკომენდაციების შესაბამისად. კომპანიის სერვისები ძირითად წარმომადგენს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომლებზეც გავლენა არ ჰქონია სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შეზღუდვებს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარა თუ კომპანიას აქტივის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი არ გადმოეცემა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერები/ოფისის აღჭურვილობა	7
მანქანა-დანადგარები	7
ავტომობილები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

22. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების დაბრუნებას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად. დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკები გათვალისწინებული უნდა იყოს ან დისკონტირების განაკვეთის, ან ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის შეფასების დროს - არ უნდა იყოს გათვალისწინებული ორივე ერთად. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

კომპანია არ აღიარებს ფინანსურ ანგარიშგებაში პირობით აქტივებს და ვალდებულებებს, ორივე ახსნა განმარტება ხდება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.

